პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 191 (6000) 28 სექტემბერი, ოთხშაბათი. 1977 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საპასუხო მატჩის წინ

26 სექტემბერს მილანიდან თბილისში ჩამოვიდა „ინტერნაციონალეს" სპორტული დელეგაცია. სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს აეროპორტში.

დღეს, 19 საათზე, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე მეტოქეები კვლავ განაახლებენ „ხან-სიროზე" დაწყებულ ორთაბრძოლას.

* * *

სურათზე: მილანის „ინტერნაციონალეს" სპორტული დელეგაცია თბილისის აეროპორტში.

ვ. დოლენჯაშვილის ფოტო.



## რა მოსდით მძლეოსნებს?

ცნობილია, თუ რამდენად დიდია სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებსა თუ სხვა საკავშირო კომპლექსურ შეჯიბრებებში ამა თუ იმ რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წარმატება-წარუმატებლობის გავლენა ასპარეზობათა საბოლოო შედეგებზე.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე საქართველოს მძლეოსანთა უღიმღამო გამოსვლის შემდეგ, უნდა გვეფიქრა, რომ რესპუბლიკაში ყველაფერს იღონებდნენ სპორტის ამ სახეობაში არსებული ნაკლის გამოსწორებისთვის. 2 წელზე მეტია დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა, რა გაკეთდა, რა შეიცვალა ამ დროის მანძილზე? გვაქვს თუ არა რაიმე მიღწევები მძლეოსნობაში? ბუნებრივია ეს კითხვები აწუხებს ყველას, ვინც კი საქართველოს სპორტსმენთა შედეგებითაა დაინტერესებული.

ამ ზაფხულს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ახალგაზრდების II საკავშირო თამაშების მსვლელობას. გამარჯვებებით გაგვახარეს კალათბურთელებმა, მოჭადრაკეებმა, კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა, სამბისტებმა, ძიუდოისტებმა... კომპლექსურ ჩათვლაში დიდხანს V საპრიზო ადგილზე ვიყავით და აი, მძლეოსანთა ასპარეზობის დღეც დადგა. ამ სახეობაში ჩვენმა ძირითადმა კონკურენტებმა ბელორუსიისა და ყაზახეთის კოლექტივებმა (რომ არაფერი ვთქვათ რსფსრ-ის, უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებზე) ქულათა ისეთი დიდი რაოდენობა მოიპოვეს, რომ საბოლოოდ საერთო ჩათვლაში გაგვისწრეს. საქართველოს მძლეოსნები მხოლოდ XII ადგილს დასჯერდნენ.

რესპუბლიკის მძლეოსანთა ჩამორჩენა კიდევ ერთხელ ცხადყო თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ამასწინათ ჩატარებულმა საქართველოს ღია პირველობამ, სადაც სპორტული საზოგადოებების „დინამოს", „ბურევესტნიკის", „განთიადის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვების" და „კოლმეურნის" ნაკრები კოლექტივები გამოდიოდნენ.

(დასასრული მე-4 გვ.).

## ჭადრაკი

### კაიშაურის წარმატებანი

ვანვლილი ზაფხულის ტურნირებში წარმატებით გამოდიოდა შვეციაში მცხოვრები ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკე, 23 წლის კოტე კაიშაური.

ივლისში კაიშაურმა II ადგილი დაიკავა შვეციის ვაჟთა პირველობაში.

მან წარმატებით ითამაშა ქალაქ ჰაუსდალის (ნორვეგია) საერთაშორისო ტურნირშიც. შვეიცარიული სისტემით (9 ტური) ჩატარებულ შეჯიბრებაში 22 მონაწილე იყო. ახალგაზრდა ოსტატმა IV-VI ადგილები გაიყო ისკოვთან (დანია) და იოჰანსენთან (ნორვეგია) — 5,5-5,5 ქულა. I-III ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა ვესტერინენმა, რანტანენმა (ორივე — ფინეთი) და ოგნარდმა (ნორვეგია) — 6-6. სხვათა შორის, კაიშაურმა დაამარცხა დიდოსტატი.

ამ ტურნირში კაიშაურმა შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი (მეორე ბალი). ამ საპატიო წოდებას ფიდე მას მიანიჭებს თავის უახლოეს კონგრესზე (ოქტომბერში ვენესუელაში).

შვეციიდან გვატყობინებენ, რომ ამჟამად კაიშაური მონაწილეობს ჩრდილოეთ ქვეყნების მოჭადრაკეთა ტურნირში, რომელიც ფლენსბურგში (გფრ) მიმდინარეობს.

თ. გიორგაძე.

* * *

სურათზე: კოტე კაიშაური.



## მეცხრე პარტიის ფინალი

ტალინი, 27 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში მ. ჩიბურდანიძესა და ე. ახმილოვსკაიას შორის შედგა შეხვედრა გადადებული მეცხრე პარტიის დასამთავრებლად.

როგორც ვიუწყებოდით, პარტია გადადებული იყო ჩიბურდანიძისთვის ლაზიერების უარეს ენდშპილში:

თეთრები (ახმილოვსკაია): მფh4, ლd6, პპ. a2, b4, d5, g4, h2.

შავები (ჩიბურდანიძე): მფg8, ლf3, პპ. a6, b5, g6, h7.

თამაშის განახლებისას პარტია ასე

პრეტენდენტთა ნახევარფინალური

გაგრძელდა: 41. ... მფg7 (ჩაწერილი სვლა) 42. ლe7+ მფg8 43. ლe8+ მფg7 44. ლe5+ ლf6 45. ლ:f6+ მფ:f6 46. d6 h6 47. g5+ შავები დანებდნენ.

ამ გამარჯვებით ახმილოვსკაია დაწინაურდა — 5:4.

მეათე პარტია 28 სექტემბერს გაიმართება.

## თბილისელი მშვილდოსნის გამარჯვება

ვოროშილოვგრადში დამთავრდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა მშვილდოსნობაში, რომელშიც 10 რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრება ერთობ ცუდ ამინდში მიმდინარეობდა — ძლიერ, შემხვედრ ქარს კორექტივები შეჰქონდა ისრების ფრენაში. მიუხედავად ამისა, მონაწილეებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს.

განსაკუთრებით საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა ვაჟების ასპარეზობა. ყველას აჯობა თბილისელმა გ. ტროპინმა. მან პირველივე ვარჯიშიდან ხელთ იგდო ლიდერობა და ბოლომდე არ დაუთმია იგი. ტროპინი საკმაოდ კარგი შედეგით — 2281 ქულით საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ს. ხოლოდარი,
სპორტის ოსტატი, ვოროშილოვგრადის საოლქო გაზეთის „პრაპორ პერემოგის" კორესპონდენტი.

## ექვს სახეობაში

26 სექტემბერს თბილისის კიროვის სახელობის პარკის სპორტულ მოედანზე საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირების თბილისის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების I სპარტაკიადა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

სპარტაკიადაში მონაწილეობენ თბილისის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ნაკრები გუნდები.

ეს შეჯიბრება, რომლის პროგრამაშიც მინი-ფეხბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ჭადრაკი და მშდ-ის მრავალჭიდი შედის, 16 ოქტომბრამდე გასტანს.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნის შემდეგ გაიმართა მინიფეხბურთელთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ცირკის კლუბისა და ჭადრაკის სასახლის გუნდები. გაიმარჯვეს ჭადრაკის სასახლის ფეხბურთელებმა — 2:0. მეორე პაექრობა, თბილისის სპორტკომიტეტის გუნდსა და საცხენოსნო ბაზის გუნდებს შორის, ფრედ (3:3) დამთავრდა.

ლ. დუნდუა.

* * *

სურათზე: თბილისის სპორტკომიტეტისა და საცხენოსნო ბაზის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.



## ტელეტაიპის ლენტიდან

პრაღა. საბჭოთა მოკრივეებმა წარმატებით იასპარეზეს ჩეხოსლოვაკიელი ანტიფაშისტის ვაცლავ პროხაზკას ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ოსტრავაში ჩატარდა. მათ ხუთი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი დაიმსახურეს. II ადგილზე კუბელი სპორტსმენები გავიდნენ (სამი „ოქრო", ერთიც „ვერცხლი"). ჩვენი გუნდიდან I ადგილები მოიპოვეს ივანოფრანკოვსკელმა ი. ბოგდანოვმა (წონა — 51 კგ-მდე), ოლიმპიადისა და მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა, ერევნელმა დ. ტოროსიანმა (54 კგ-მდე), ორენბურგელმა ვ. სოროკინმა (63,5 კგ-მდე), ბლაგოვეშჩენსკელმა ვ. კუმნაროვმა (75 კგ-მდე) და მოსკოველმა ი. ვისოცკიმ (81 კგ-ზე ზევით).

ფინალში კაუნასელი ა. კონდრატასი (67 კგ-მდე) მინიმალური ანგარიშით დამარცხდა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორ ზ. კიცესთან. „ვერცხლი" მეორე კაუნასელ მოკრივეს ნ. ეროფეევსაც ხვდა (81 კგ-მდე).

ტურნირში ათი ქვეყნის ათლეტები მონაწილეობდნენ.

ამანი. იორდანიის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და იორდანიის ძალოსანთა ნაკრების ამხანაგური შეხვედრა. ამანის ფიცარნაგზე მაღალი შედეგები აჩვენა ჩვენმა გუნდმა, რომელიც დინამოელებით იყო დაკომპლექტებული (გ. ივანჩენკო, ე. დერგაჩიოვი, ვ. კისელიოვი, გ. ანდრეევი). საბჭოთა სპორტსმენებმა ერთდროულად ჩაატარეს წვრთნა ამ ქვეყნის საუკეთესო ძალოსნებთან.

ვარშავა. კალათბურთელ ქალთა შორის „პოლენას" პრიზზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში მეოთხედ გაიმარჯვა მოსკოვის „სპარტაკმა". ფინალურ შეხვედრაში საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს კრაკოვის „ვისლა" 85:60 (49:30). ტურნირში, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღეს რუმინეთისა და იუგოსლავიის კლუბების გუნდებმა.

ლონდონი. მექსიკელმა მძლეოსნებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს ინგლისის ქალაქ მილტონ-კეინსში — მსოფლიო ჩემპიონატში სპორტულ სიარულში. მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა დ. ბაუტისტამ 20-კილომეტრიან დისტანციაზე იმარჯვა — 1:24.4. მას 27 წამით ჩამორჩა და II ადგილზე გავიდა ჩემპიონის თანამემამულე დ. კოლინი. სოჭელმა სპორტსმენმა ე. ევსიუკოვმა აჩვენა მეექვსე შედეგი — 1:27.03. 50-კილომეტრიან დისტანციაზე ოქროც და ბრინჯაოც კვლავ მექსიკელ სპორტსმენებს ხვდათ. ესენი არიან რ. გონზალესი (4:4.16) და პ. აროჩე (4:4.55). ალმაათელი ვ. სოლდატენკო ფინიშთან მეოთხე მივიდა — 4:8.20.

ვარშავა. ბელორუსიისა და პოლონეთის გუნდებს შორის მხატვრულ ტანვარჯიშში გამართული შეხვედრის ბედი თხუთმეტმა მეასედმა ქულამ გადაწყვიტა. ამჯერად გამარჯვება ფიცარნაგის მასპინძლებს ხვდათ — 187,55:187,40. პოლონელმა ტანმოვარჯიშე ქალებმა პირად ჩათვლაშიც იმარჯვეს — ყველას რ. ურბანიკმა აჯობა (38,1).

## რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

**კონსტიტუციის პროექტის სტრიქონებს მიღმა**

# მწვრთნელი

**ლამპიონებით** გაჩახჩახებულ ქუჩას ორნი მიუყვებოდნენ — მოსწავლე და მასწავლებელი. მიდიოდნენ ნელა, ხმაამოუღებლივ. სიჩუმის დარღვევას არც ერთი არ ცდილობდა. ფიქრებს გაეტაცა ორივე — ბოლო ვარჯიში ჩაატარეს გამგზავრების წინ. ერთი მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მიდის, მეორე — სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" პირველობაზე. „ნეტავ ერთი გზა მაინც გვქონდეს, — ფიქრობს მწვრთნელი — კარგი ბიჭია, მოხერხებულიც, მაგრამ ვინ იცის, როგორ გაუჭირდება მარტო". მაგრამ...

შინ ორივე ჩემპიონი დაბრუნდა, მოსწავლეცა და მასწავლებელიც. ახდა მწვრთნელის ოცნება.

იგორ ნარმანიამ ჭიდაობა ბავშვობაშივე შეიყვარა. პატარა ბიჭი ტეხურის ნაპირას ქვიშაზე, ან ნახერხმოყრილ წრეში ეჭიდებოდა თანატოლებს. მერვე კლასის მოსწავლე უკვე რაიონის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში მოზრდილთა შორის. ეს იყო 1963 წელს. და შემდეგაც არავისთვის დაუთმია პირველი ადგილი.

• მრავალი სახის შეჯიბრებაში მიუღია იგორს მონაწილეობა და უმეტეს შემთხვევაში წარმატებისთვის მიუღწევია. განსაკუთრებით საბჭოთა არმიის რიგებში სამსახური დაამახსოვრდა. 1967-1969 წლებში იგი სამჯერ გახდა სამბოში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჩემპიონი და თასის მფლობელი. 1968 წელს კიევში „დინამოს" საკავშირო პირველობაზე III საპრიზო ადგილი მოიპოვა. 1969 წელს კი სპორტის ოსტატის წოდება მიიღო. ჯარიდან დაბრუნებული ჯერ მასწავლებლად მუშაობს ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, შემდეგ კი ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტია. 1970 წლიდან მოყოლებული იგი ზედიზედ შვიდჯერ გახდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ჩემპიონი.

— კარგია, როცა სარბიელს გამარჯვებული სტოვებ, — გვითხრა იგორ ნარმანიამ — მაგრამ არანაკლებ სასიამოვნოა, როცა შენი აღზრდილი გაგახარებს და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავა.

ამას გვეუბნებოდა და თვალს არ აცილებდა ლეიბს, სადაც მისი მოსწავლეები ვარჯიშობდნენ. შემდეგ მოგვიბოდიშა და ერთ წყვილთან მივიდა, რაღაც აუხსნა, ერთი ილეთი რამდენჯერმე გაამეორებინა ორივეს. ჯერ ნელი ტემპით, შემდეგ უფრო სწრაფად...

1970 წლიდან მუშაობს იგორ ნარმანია მწვრთნელად. ძნელი იყო პირველი ნაბიჯები. მაგრამ საქმე ნელ-ნელა აეწყო. 1974 წელს მისი მოწაფე ნუგზარ კაკულია საქართველოს პირველობის III პრიზიორი გახდა ჭიდაობა სამბოში. მომდევნო წელს უფრო მეტ წარმატებებს მიაღწიეს მისმა აღსაზრდელებმა — „კოლმეურნის" რესპუბლიკურ პირველობაზე ერთი ჩემპიონი გახდა, ხოლო სამმა საპრიზო ადგილი მოიპოვა. განსაკუთრებით მაღალ შედეგებს ნარმანიას ძიუდოისტებმა წლეულს მიაღწიეს. ზაური ბაკურიძემ ქართულ ჭიდაობაში მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო გოჩა ახალაია II ადგილზე გავიდა.

ნარმანიას აღზრდილებმა რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების ზონალურ პირველობაზე ჭიდაობის ოთხ სახეობაში (ქართული, თავისუფალი, ძიუდო, სამბო) იასპარეზეს და 800-მდე ქულა შესძინეს ცხაკაიას სპორტული დელეგაციის ყულაბას. ეს ახალგაზრდა მწვრთნელის დიდი გამარჯვებაა.

გვჯერა, იგორ ნარმანია გულშემატკივრებს კვლავაც გაახარებს მიღწეული წარმატებებით.

• • •

**სურათზე: ძიუდოისტთა მორიგ მეცადინეობას ატარებს ახალგაზრდა მწვრთნელი, სპორტის ოსტატი იგორ ნარმანია.**



# ობიექტივშია ცხაკაიას რაიონი,

## სამაგალითო ტრადიციებისა და სახელოვან სპორტსმენთა აღმზრდელი კერა



# ნაკვალევით მიდიან

**დიდი** სპორტული ტრადიციების მქონეა ცხაკაიას რაიონი. აქ აღიზარდნენ ცნობილი სპორტსმენები, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი ჭიდაობაში რობერტ ჯღამაძე, საერთაშორისო სპორტის ოსტატი და მსაჯი საჭადრაკო კომპოზიციაში გია ნადარეიშვილი, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" მრავალგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ვლადიმერ კანკავა, სსრ კავშირის ექს-რეკორდსმენი ძალოსნობაში ალიოშა ჯეჯელავა, მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კლასიკურ ჭიდაობაში შოთა მორჩილაძე და სხვები. გამოჩენილი სპორტსმენების ნაკვალევს დღეს ბევრი ახალგაზრდა მიჰყვება.

ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა ცხაკაიას ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს **შოთა ჩიქობავას.**

● **ბატონო შოთა, ცხაკაიას რაიონი განთქმულია თავისი სპორტული ტრადიციებით, ბევრ აქაურ სპორტსმენს უსახელებია მშობლიური კუთხე. რა მდგომარეობაა დღეისთვის რაიონში?**

— რაიონის 94 ფიზკულტურულ კოლექტივში თერთმეტი ათასზე მეტი კაცია გაერთიანებული. აქედან 20 საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სპორტის ოსტატია, 10 — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 56 — პირველთანრიგოსანი, ხოლო ასობით ფიზკულტურელს მეორე და მესამე თანრიგი აქვს. მარტო შარშან აქ 6 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 8 პირველთანრიგოსანი და 2600 მასობრივი თანრიგის სპორტსმენი აღზარდეს. დიდი ყურადღება ექცევა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას — შარშან მომზადდა 3000-ზე მეტი ნიშნოსანი, წლეულს ნორმატივების ჩაბარებაში 7 ათასზე მეტი კაცია ჩაბმული. ჩვენი რაიონის აღზრდილებია სპორტის ოსტატები, საქართველოს ჩემპიონები კლასიკურ ჭიდაობაში მერაბ ხუხუა და ნიკოლოზ ნაკაშიძე. ცხაკაიელმა ზადრი ბაკურაძემ მოსწავლეთა შორის ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

ცხაკაიელ მოჭიდავეთა მიღწევებში ყველაზე დიდი დამსახურება გამოცდილ მწვრთნელს კარლო ჯოჯუასა და მის ახალგაზრდა კოლეგას იგორ ნარმანიას მიუძღვით. მათი მუშაობა მიბაძვისა და ქების ღირსია.

ახლო წარსულში ცხაკაიელი ცხენოსნები რესპუბლიკის ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტები იყვნენ. საკმარისია დავასახელოთ საბჭოთა კავშირის პირველობის პრიზიორები გვეჯე ივანიძე, ლასი და გივი ლაშქარავები. დღეს კი იქაური ცხენოსნები წინანდებურად ველარ ბრწყინავენ. მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საქმეს ძველებური ენთუზიაზმით აღარ ეკიდებიან. რაიონის ხელმძღვანელობამ დროზე გაამახვილა ყურადღება ამ საკითხზე, გამოიტანა სპეციალური დადგენილება, რომელიც არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ითვალისწინებს. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. ვფიქრობთ, ახლო მომავალში ცხაკაიელები დაკარგულ პოზიციებს დაიბრუნებენ.

● **რესპუბლიკაში სათანადო ყურადღება ექცევა სპორტის ეროვნულ სახეობათა განვითარებას. რა წვლილი შეაქვთ ცხაკაიელ სპორტსმენებს ამ საქმეში?**

— ცხენოსნობის გარდა, ჩვენში ფეხს იკიდებს ლელობურთი. სპორტის ეს სახეობა უფრო პოპულარულია ახალგაზრდებს შორის. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჩვენმა ლელობურთელებმა წლეულს რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების დასავლეთ ზონაში V ადგილი დაიკავეს.

ცხაკაიაში ძლიერ პოპულარულია ქართული ჭიდაობა. ყოველწლიურად რამდენიმე შეჯიბრებას ვატარებთ. განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობს ცნობილი ფალავნის ნესტორ ესებუას თასზე გამართული შეჯიბრება. შეხვედრები ამ ცნობილი მოჭიდავის მშობლიურ სოფელ ძველ სენაკში ეწყობა.

● **კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები წარმატების საწინდარია. რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენს რაიონში, რა გაკეთდა და როგორია მომავალი გეგმები?**

— დღეისთვის რაიონში 62 ფრენბურთის, 32 კალათბურთისა და 18 ხელბურთის მოედანი, 42 ფეხბურთის მინდორი, 31 მძლეოსნური სექტორი და 13 სპორტული დარბაზია. გვაქვს შესანიშნავი საჭადრაკო კლუბი „მხედრული", რომელსაც გია ნადარეიშვილი უწევს შეფობას.

კარგი სპორტული ბაზები აქვთ ძველი სენაკის სანაშენე მეღორეობის საბჭოთა მეურნეობას, ტეხურისა და ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობებს, რასაც ვერ ვიტყვით ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობის, ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის, კოტიანეთის მევენახეობისა და ნოქალაქევის მეთუთეობის საბჭოთა მეურნეობათა, კავშირგაბმულობის, რაიკავშირისა და ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივების მიმართ. ბაზები მოუწყობელია და არც ახალგაზრდებთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობაა სათანადო დონეზე.

ამ დღეებში ცხაკაიას პარტიის რაიკომის ბიურომ იმსჯელა რაიონში სპორტული მუშაობისა და სპორტული ბაზების უკმარობის შესახებ, მიიღო შესაბამისი დადგენილება, დასახა გზები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

წლეულს მწყობრში უნდა ჩადგეს ცხაკაიას რაიონის პირველი საცურაო აუზი, რომელიც ქალაქის რკინიგზის სკოლა-ინტერნატის ტერიტორიაზე შენდება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სამოქალაქო მშენებლობათა დისტანციას (უფროსი ვიტალი კაკაბაძე) ძალზე გაუჭიანურდა მისი დამთავრება. ახლა კი, როცა ყოველგვარი მასალა ადგილზეა, ვფიქრობთ მშენებლები დააჩქარებენ მშენებლობას.

1980 წელს ცხაკაიას სპორტულ ნაგებობებს შეემატება სტადიონი, ორი საცურაო აუზი და ოთხი სპორტული დარბაზი.

● **თქვენ სტადიონი ახსენეთ. როგორც ცნობილია, იგი რამდენიმე წელია შენდება, მაგრამ ალბათ დამთავრებამდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის?**

— ჩვენს რაიონს ჰყავს ფეხბურთელთა გუნდი „ეგრისი", რომელიც საქართველოს პირველობის პირველ ჯგუფში თამაშობს. სამწუხაროდ, მათ ნორმალური ბაზა არ გააჩნიათ ვარჯიშისა და კალენდარული შეხვედრების ჩასატარებლად. ამიტომაც, რამდენიმე წლის წინათ გადაწყდა სტადიონი აგვეგო. ჩანაფიქრი მართლაც კარგი იყო, მაგრამ ამ საქმის დამთავრებას საშველი არ დაადგა. ხელშემშლელი მიზეზი უამრავია — სტადიონის ტრიბუნების მშენებლობა მეორე კვარტალში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ჯერ საქმის ნახევარიც არ არის გაკეთებული. სამუშაოები შეწყვეტილია, რადგან, როგორც მშენებარე ორგანიზაციის, დასავლეთ საქართველოს № 3 „სპორტრემმშენის" უფროსმა ნოდარ ჯობავამ გვითხრა, მშენებლებს არა ჰქონიათ რკინა-ბეტონის კონსტრუქციები. რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტს მშენებლებისთვის დღემდე არ მიუცია 150 ტონა ლითონი და კუთვნილი 110 კუბმეტრი ხე-ტყე. თავად განსაჯეთ, ასეთი შეფერხების შემდეგ როდისღა ეშველება ჩვენს სტადიონს...

• • •

**სურათებზე: ცნობილი ცხენბურთელი, სპორტის ოსტატი გივი ლაშქარავა. ცხაკაიელ მოსწავლე ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი.**



ცხაკაიას რაიონის სპორტულ ცხოვრებაზე მასალები მოამზადა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა **ვაჟა დანელიამ.**

# პირადი მაგალითის ძალა

**ისინი** მშენებლები არიან — საქართველოს № 5 სამშენებლო ტრესტის № 12 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მუშები. წინა წლის შედეგების მიხედვით ეს კოლონა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საკავშირო გარდამავალი დროშით დაჯილდოვდა. მათ შრომასთან ერთად აქტიური დასვენებაც უყვართ. ჩამოყალიბებული აქვთ რამდენიმე სპორტული სექცია, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ფიზკულტურის მეთოდისტი, სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში ვახტანგ ნარმანია. იგი უკვე თოთხმეტი წელია რაიონის ბექდაუდებელი ფალავანია ქართულ ჭიდაობაში. 6-ჯერ ზონალურ პირველობებში იმარჯვა, 1967 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1971 წელს — საქართველოს პრიზიორი.

ენერგიული მეთოდისტის მოსვლის შემდეგ კოლონის სპორტსმენთა წარმატებები ერთი-ორად გაიზარდა. გასულ წელს მათ რაიონულ სპარტაკიადაზე წარმოებადაწესებულებების II ჯგუფში საერთო გუნდური I ადგილი დაიკავეს. ცალკეულ სახეობათა მიხედვით პირველნი იყვნენ ჭადრაკში, ქართულ ჭიდაობაში, მძლეოსნობასა და ტყვიის სროლაში. ხელბურთსა და ველოსპორტში II ადგილი მოიპოვეს, ხოლო შაშში — III. არც წლევანდელ სპარტაკიადაში აპირებენ მოპოვებულის დათმობას.

მეთორმეტე კოლონის ფიზკულტურელები დიდ ყურადღებას უთმობენ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას. შარშან აქ მშდ-ის 30 ნიშნოსანი მომზადდა. წლეულს ჯერჯერობით ოთხმა კაცმა ჩააბარა ნორმატივები და ოთხივემ ოქროს სამკერდე ნიშანი დაიმსახურა.

ამ წარმატებებში მეთოდისტთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით მოზარდთა შორის მძლეოსნობაში პირველთანრიგოსან თ. რაზმაძეს, მეორეთანრიგოსან ფეხბურთელს ი. წოწორიას, პირველთანრიგოსან კალათბურთელ ვ. არჩაიას, მესამეთანრიგოსნებს ჭიდაობაში ვ. ცაავას, ჭადრაკში გ. გაბელიას და სხვებს.

## საპასუხო მატჩის წინ



# ეუჯენიო ბერსელინი: როგორც „დინამომ“ მილანში

**26 სექტემბერს** საღამოს ტუ-154-მა მილანიდან თბილისში ჩამოიყვანა „ინტერნაციონალეს“ სპორტული დელეგაცია. აეროპორტში სტუმრებს დახვდნენ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის, სპორტსაზოგადოება „დინამოსა“ და პრესის წარმომადგენლები. იტალიელ ფეხბურთელებს 17 ჟურნალისტი ჩამოჰყვა თან.

ჩვენი კორესპონდენტი აეროპორტშივე ესაუბრა „ინტერის“ მწვრთნელს **ეუჯენიო ბერსელინის**. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

**— ერთი ან თუნდაც რამდენიმე მატჩის მიხედვით ძნელია გუნდზე რაიმე გარკვეულის თქმა. და მაინც, თქვენი შთაბეჭდილება „დინამოს“ შესახებ.**

— უთუოდ ძლიერი გუნდია.

**— საკუთარ მინდორზე დამარცხებამ პრესის კრიტიკა დაგატეხათ თავს. რა ბრალს გდებდნენ, და საერთოდ, რა ურთიერთობა გაქვთ პრესასთან?**

— ჟურნალისტთა კრიტიკის მახვილი ძირითადად ფაკეტისკენ იყო მიმართული. ჩვენი ურთიერთობა კი... — აქ „ინტერის“ მწვრთნელმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა. — ზოგი გაზეთი დღეში შვიდჯერ გამოდის. არც თუ იშვიათად შვიდჯერვე სრულიად განსხვავებულ აზრს ამოიკითხავთ ამა თუ იმ მატჩის შესახებ. ასე რომ...

**— გავიგეთ, ფაკეტი არ ჩამოვიდა თბილისში. ვინ ითამაშებს მის ადგილზე?**

— ფაკეტიმ ბოლო მატჩში „ნაპოლის“ წინააღმდეგ მუხლი იტკინა. მისი თბილისში ჩამოუსვლელობის მიზეზიც მხოლოდ ესაა. ვფიქრობ, „დინამოსთან“ მატჩში „ლიბეროს“ ფუნქციები ბინის დავაკისრო, მეწყვილედ გასპარინი ეყოლება.

**ეს შეხვედრა** მილანის სან-სიროს სტადიონზე გაიმართა და დამთავრდა „ინტერის“ გამარჯვებით — 1:0. ბურთი 35-ე წუთზე გაიტანა ორიალიმ. ამ მატჩის შემდეგ „ინტერის“ ყოფილ ფეხბურთელს, ახლა კი გენერალურ დირექტორს მაცოლას ჰკითხეს, თუ რას ფიქრობს თბილისის მატჩზე: „გამარჯვებული ორმა შეხვედრამ უნდა გამოავლინოს. მეორე ჯერ კიდევ წინაა და ჩვენ მას ვითამაშებთ. მივემგზავრებით მშვიდად, დასაკარგი არაფერი გვაქვს, ფეხბურთში ხომ ყველაფერია მოსალოდნელი. ახლა „ინტერი“ პროგრესის გზაზეა, თანდათან აუმჯობესებს თამაშს. „ნაპოლისთან“ გამარჯვება ამ ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია“.

საინტერესოა, რომ ბოლო მატჩზე ასეთივე მოსაზრებისაა ბერსელინიც. სავსებით განსხვავებულია იტალიურ პრესაში გამოთქმული აზრი: „ინტერმა“ დაუმსახურებლად გაიმარჯვაო“.

**— ვინ მოგეწონათ „დინამოს“ ფეხბურთელებიდან და რა არის ამ გუნდის ღირსება?**

— ყიფიანი და... — აქ ბერსელინიმ ხელებით ისეთი მახვეულ-მოხვეულები მოხაზა, რომ მაშინვე მივხვდით, გუცაევს გულისხმობდა. — სწორედ ის, თქვენი ცხრა ნომერი. გუნდის ძალა და ღირსება კი ნახევარდაცვაა. განსაკუთრებით მაჩაიძეებმა, უფრო კი კაპიტანმა დატოვა დიდი შთაბეჭდილება.

**— როგორ აპარებთ თამაშს?**

— ზუსტად ისე, როგორც „დინამომ“ ითამაშა მილანში“ — ღიმილით ამბობს ეუჯენიო ბერსელინი.

**— ანასტაზი...**

— ალბათ ითამაშებს. — შემდეგ ამას რამდენიმე ნაცნობი გვარის ჩამოთვლა მოსდევს, ბოლოს კი „ინტერის“ მწვრთნელი თვითონ გვიბრუნებს კითხვას. დასამალი არაფერია: „დინამომ“ წააგო უკანასკნელი მატჩი, ყიფიანი ტრავმირებულია, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, ითამაშებს თუ არა.

**— უნივერსალიზაცია და სპეციალიზაცია. დღეს ასეთ ფეხბურთზე და ფეხბურთელებზე განსხვავებული აზრია. რომლისკენაა თქვენი სიმპათია, და კიდევ ერთი: რას იტყვით ახალ საფეხბურთო მოდაზე — ტერმინ ტოტალურს ვგულისხმობთ.**

— რა თქმა უნდა, უნივერსალიზაცია. ის თავისი შინაარსით კოლექტიურ თამაშთან დგას ახლო. ჩემს გუნდში არ არიან ეგრეთწოდებული ვარსკვლავები, მაგრამ იმედი მაქვს, სულ მალე „ინტერი“ ნამდვილ გუნდად იქცევა. რაც შეეხება ტოტალურს, თუ თქვენ ჰოლანდიის ნაკრები გყავთ მხედველობაში, მაშინ ერთი სურვილი მაქვს — ძალიან მინდა რომ იტალიური ფეხბურთი სწორედ ამ გზას დაადგეს. ალბათ ასეც იქნება.

**— პროფესიონალ სპორტსმენებზე ათასგვარი ლეგენდა დადის. უამრავი კურიოზი გაგვიგონია მათი განათლების ერთობ არასახარბიელო დონეზე. ისე კი, სიმართლე გითხრათ, ძნელი დასაჯერებელია, რომ იტალიელ ფეხბურთელს წაკითხული არ ჰქონდეს, ვთქვათ, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“.**

— მე ნამდვილად წაკითხული მაქვს. — ხელებს ასავსავებს ბერსელინი. — ხუმრობა ცალკე იყოს და ადრე ამ მხრივ მართლაც შემაშფოთებელი სიტუაცია იყო. ბოლო ხანებში თანდათან გამოსწორდა მდგომარეობა. სხვისი რა მოვახსენოთ და ფეხბურთელთა ინტელექტის დღევანდელი დონე საშუალოზე მაღალია.

**— თბილისში წაგება ცუდად ხომ არ იმოქმედებს თქვენს კარიერაზე?**

— ნამდვილად არა. თუნდაც იმიტომ, რომ „დინამოსთან“ წაგება სახელის გატეხვა არ არის.

**— და ბოლოს. რას მოელით მომავალი მატჩისგან?**

— აკი გითხარით, იმასვე, რასაც თქვენებმა მიაღწიეს მილანში.

**საუბარი** ამით დასრულდა. „ინტერის“ დელეგაცია ავტობუსით თბილისისკენ დაიძრა. ფეხბურთელებმა „დინამოს“ სტადიონს მიაშურეს — შავცისფერების გუნდს, როგორც მათ სამშობლოში უწოდებენ, იმდღევანდელი გეგმით კიდევ ერთი ვარჯიში ჰქონდა ჩასატარებელი.

საუბარი ჩაიწერა
**ი. ბერიაშვილმა.**

**თბილისში** გამომგზავრების წინ „ინტერმა“ საკუთარ მინდორზე მიიღო ნეაპოლის „ნაპოლი“. მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0. ბურთი 35-ე წუთზე გაიტანა ორიალიმ.

ჩვენი დღევანდელი მეტოქე ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ბორდონი, ბინი, ბარეზი, ორიალი, კანუტი, ფაკეტი, სკანციანი (პავონე), მარინი, ანასტაზი, მერლო, ალტობელი (ჩიპოლინი, მურარო).

„ინტერის“ სახელგანთქმული კაპიტანი სწორედ ამ შეხვედრაში დაშავდა.

# აბა, თქვენ იცით ბიჭებო!..

ბაქოში „ნეფთჩისთან“ ჩატარებული თამაშის შემდეგ თბილისში დაბრუნებულებს სულ ორიოდე საათი დაგვრჩა დასასვენებლად. წინ გვქონდა უეფა-ს ტურნირის ურთულესი მატჩი მილანის „ინტერნაციონალესთან“ და ყველაფერი მიმართული იყო იქით, რომ კოლექტივში შეგვექმნა ხალისიანი, მხიარული ატმოსფერო. დასამალი რაა — მეტოქის მინდორზე ვხვდებოდით ევროპაში აღიარებულ საერთაშორისო კლასის მქონე გუნდს და ეს გარემოება მოთამაშეებში გარკვეულ ინტერესს იწვევდა. „საგანგაშო მდგომარეობიდან“ გამოყვანის საქმეში ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწიეს რესპუბლიკის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომელთა ყურადღებას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით. თბილისის აეროდრომზე მოეწყო გულთბილი, უხმაურო გაცილება, აქ ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გადმომცა საკმაოდ დიდი ზომის პაკეტი და მითხრა გამეხსნა იგი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მგზავრობის ბოლო პუნქტში, უფრო სწორად — მილანის სტადიონის გასახდელში, თამაშის წინ. მანამდე მისი არსებობა არ უნდა სცოდნოდა არავის.

...ჩავედით მილანში. ფეხბურთელები მეტისმეტად გადაქანცულები ჩანდნენ და იტალიელებმა შესანიშნავი მასპინძლობა გაგვიწიეს: დასასვენებლად ნამდვილი კომფორტული პირობები შეგვიქმნეს თავიანთ სასტუმრო „ლეონარდო და ვინჩში“. ჩვენც, რასაკვირველია, არ დავაყოვნეთ გვესარგებლა ასეთი მასპინძლობით. ეწყობოდა მიღებები, სხვადასხვა სახის ცერემონიალი, პრეს-კონფერენციები, მაგრამ მათში მხოლოდ გუნდის ხელმძღვანელები ღებულობდნენ მონაწილეობას, თვით ფეხბურთელები კი ისვენებდნენ.

დილით, როცა ვარჯიშისთვის ვემზადებოდით, ნომრებში მოულოდნელად აწკრიალდა ტელეფონის ზარები. ეს ჩვენს ფეხბურთელებს თბილისიდან ურეკავდნენ თავიანთი ოჯახის წევრები. ახლობლებთან საუბარმა შესანიშნავი ეფექტი გამოიღო, ბიჭები გამოცოცხლდნენ.

„ინტერის“ ხელმძღვანელებმა გვირჩიეს, რომ თამაშზე სულ ცოტა 2 საათით ადრე წავსულიყავით, ვინაიდან მერე მგზავრობა ქალაქის ქუჩებში გაგვიჭირდებოდა. გავემგზავრეთ „სანსიროს“ სტადიონზე, 30 წუთში ჩავედით ადგილზე და აქ საათნახევარი კიდევ დაგვრჩა მატჩამდე. აი, სწორედ აქ გამოგვადგა ჩვენი დიდი პაკეტი. გავხსენით, გავაკარით კედელზე და უნდა გენახათ სანახაობა. ეს იყო ზაურ ბოლქვაძის მხატვრულად გაფორმებული ლექსები, რომელთა წაკითხვამ მოთამაშეებში დიდი მხიარულება გამოიწვია. მოვიყვან ზოგიერთ სტროფს, თუმცა საამისო ნებართვა ავტორისგან ჯერ არ ამიღია.

*„ახლა მსოფლიოს მოედო*
*და აღარ არის მალული,*
*რომ საჯარიმო მოედნის*
*ხელაა თქვენი მამული!..*

*ამ მოედნისთვის იბრძოლეთ!*
*აჯობეთ შემტევ გრიგალებს,*
*გამოიყენეთ ბურთისა*
*და დედამიწის სიმრგვალე.*

*მაყურებელიც, მინდორიც,*
*ბურთიც დღეს „ინტერისაა“!*
*მაინც მოიგეთ! — თქვენს თამაშს*
*გადასცემს ინტერვიზია.*

*ქართულად უნდა იქუხოთ,*
*ქართულად უნდა იჭექოთ,*
*საქართველო დგას თქვენს უკან,*
*აბა თქვენ იცით, ბიჭებო...“*

ამას გარდა, გალექსილი იყო სურვილები ცალკეულ ფეხბურთელთა და კოლექტივის სხვა წევრთა მიმართ. ზაურ ბოლქვაძეს არც მე გამოვრჩენივარ და ბიჭებმა ყველაზე მეტი სწორედ ჩემს მიმართ გამოთქმულ ლექსზე იცინეს.

გამოვიდა, რომ მე ჩემივე ხელით ვატარე საკუთარ თავზე მწვავედ გალექსილი სიტყვები.

ზ. თელია,
თბილისის „დინამოს“ ექიმი.

## ფაკეტი არ ითამაშებს

### მწვრთნელი ბერსელინი ოპტიმისტურად არის განწყობილი

### „ჩვენი დამარცხების მთავარი მიზეზი ჩვენივე სუსტი თამაში იყო“, — ამბობს მაცოლა



ს უ რ ა თ ზ ე: კლუბ „ინტერის“ გენერალური დირექტორი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი სანდრო მაცოლა მეუღლით.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

# მჯეროდა თქვენი გამარჯვებისა

„თქვენ მარტო არასდროს არა ხართ, ბიჭებო. მოსკოვი იქნება თუ კიევი, თბილისი თუ მილანი, მინდორზე გამოსულ თერთმეტ ქართველ ჭაბუკს ათასობით თანამემამულე შევცქერით, თქვენთან ერთად ვღელავთ და განვიცდით, თქვენთან ერთად გვიხარია და ვნერვიულობთ. თბილისის „დინამო“ მარტო მობურთალთა გუნდი როდია. მას სხვა, უფრო მძიმე ტვირთიც ადევს — თქვენ ერის სიამაყე ხართ“.

ასეთი წერილი მრავლადაა სარედაქციო ფოსტაში. ქუთაისელი ვ. უგრეხელიძის სიტყვები ნათქვამ თუ უთქმელ აზრად მართლაცდა ათასობით გულშემატკივრის გულში ტრიალებს.

„ის გულშემატკივარი არა ვარ, რომელსაც „დინამოს“ მხოლოდ მაშინ ქომაგობს, როცა იგი ბრწყინავს და ზედიზედ იგებს მატჩებს. „დინამო“ მაშინაც მიყვარს, საქმე ცუდად რომ წაუვა. რა ვუყოთ, ფეხბურთი — ფეხბურთია! ხანდახან ოქროსაც ეკარგება ხოლმე ელვარება, — გვწერს ხობის რაიონიდან ვაჟა გოგინავა. — სხვისი არ ვიცი, მე კი მიმაჩნია, რომ ქართული ფეხბურთი ულამაზესია“.

რა თქმა უნდა, წერილების უმრავლესობა ოპტიმისტურია, ზოგჯერ მეტისმეტად ოპტიმისტურიც. თუმცა, გულშემატკივარი ასეთიც უნდა იყოს, ამდენი ღელვისა და ნერვიულობის ფასად მას სხვაც ბევრი მიეტევება.

გივი მაისურაძე, ქალაქი ონი: „მინდა მივულოცო ჩვენს დინამოელებს წლევანდელი გამარჯვებები. დარწმუნებული ვარ, ჩვენში არ მოიძებნება ძალა, რომელიც წინ აღუდგება „დინამოს“ ახალი წარმატებებისთვის ბრძოლაში“.

აი, ამ წერილის გულგრილად წაკითხვა კი ყოვლად შეუძლებელია: „პირველ ყოვლისა, გილოცავთ „ინტერთან“ გამარჯვებას. გწამდეთ, შვილებო, რომ სულ ასე ივლით, თუ ერთად იქნებით ყოველთვის, თუ ასე მტკიცედ და ურყევად იდგებით, როგორც იმ დღეს, იტალიაში.

მე შვილები გიწოდეთ. 50 წლის ქალს, 3 შვილის დედას, მართლაც, შვილებად მეკუთვნით. ისე განვიცდი თქვენს ავ-სა და კარგს, როგორც საკუთარი შვილებისას. გწამდეთ, იცოდეთ, როცა თამაშობთ, თქვენს დედებთან ერთად, სადღაც ქჰათურაშიც ფიქრობს თქვენზე მეორე დედა. იმ დღეს, როცა იტალიაში გაფრინდით, ხშირად მესმოდა, რომ გადაღლილები იყავით და აუცილებლად წააგებდით. მე კი ისე მჯეროდა თქვენი გამარჯვებისა, როგორც არასდროს. ასე გამარჯვებულებს გველოთ, ასე გაგეხარებინოთ გულშემატკივართა გულები. მადლობა ყველას, ვინც იმ დღეს მონაწილეობდა თამაშში, მადლობა ასეთი კარგი კოლექტივის შექმნისთვის. ჯულიეტა გველესიანი“.

თუ რა გამოხმაურება, რა შედეგები მოსდევს ჩვენი გუნდის წარმატებებს, ნათლად ჩანს სამტრედიელი ახალგაზრდების მიერ გამოგზავნილ დეპეშაში.

„სამტრედიის სავაგონო დეპოს მუშა-ახალგაზრდობა მილანში თქვენი წარმატების პასუხად ვალდებულებას იღებს დღევანდელი დღის საწარმოო გეგმა შეასრულოს 150 პროცენტით. გისურვებთ წარმატებას ჰომავალ შეხვედრებში. სამტრედიის სავაგონო დეპოს ფიზკულტურის კოლექტივი“.

ერთ პატარა წერილში, ბუნებრივია, ვერ მოთავსდება ყველა ის სურვილი და მილოცვა ჩვენს საყვარელ გუნდს საქართველოს ყველა კუთხიდან რომ მოსდის. თბილისის „დინამოს“ ყველა გულშემატკივრის სახელით, სპორტის ყველა მოყვარულის სახელით „ლელოს“ რედაქცია წარმატებას უსურვებს ქართველ ფეხბურთელებს დღევანდელ მატჩში.

## სსრ კავშირის პირველობა

●

## მეორე ლიგა

მოგვყავს II ლიგის IV ზონაში 24 სექტემბერს ჩატარებული მატჩების შედეგები:

„ავტომობილისტი“ (ბაქო) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 0:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „გასტელო“ (უფა) 2:1, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 1:0, „სპარტაკი“ (თბილისი) — „დინამო“ (კიროვი) 2.1, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 3:2, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 1:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „სოკოლი“ (სარატოვი) 5:1, „დინამო“ (სოხუმი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:2.

## წილისყრა — 30 სექტემბერს

სამივე ძირითადი ევროპული ტურნირის (ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფა-ს თასების) მორიგი, მეორე ტურის მონაწილეთა წილისყრა გაიმართება ციურიხში, 30 სექტემბერს.

## ⚽ ფეხბურთი

### ბათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 28 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტ“. ნლ. | 35 | 22 | 8 | 5 | 54—25 | 52 |
| „დინ“. მხ. | 35 | 19 | 8 | 8 | 63—41 | 46 |
| „გურია“ | 35 | 19 | 7 | 9 | 78—51 | 45 |
| „შირაკი“ | 35 | 21 | 3 | 11 | 63—43 | 45 |
| „სოკოლი“ | 35 | 17 | 7 | 11 | 63—46 | 41 |
| „ტორპედო“ | 35 | 15 | 8 | 12 | 54—43 | 38 |
| „დრუჟ“. ი.-ო. | 35 | 16 | 6 | 13 | 49—41 | 38 |
| „დინამო“ ბ. | 35 | 15 | 7 | 13 | 47—42 | 37 |
| „დინამო“ ზ. | 35 | 13 | 11 | 11 | 47—45 | 37 |
| „ავტომობ“. | 35 | 15 | 6 | 14 | 54—50 | 36 |
| „დრუჟბა“ მ. | 35 | 14 | 8 | 13 | 47—48 | 36 |
| „გასტელო“ | 35 | 14 | 5 | 16 | 53—43 | 33 |
| „დინამო“ კრ. | 35 | 14 | 5 | 16 | 39—41 | 33 |
| „ლოკომოტ“. | 35 | 10 | 12 | 13 | 48—50 | 32 |
| „ზენიტი“ | 35 | 11 | 8 | 16 | 54—47 | 30 |
| „დილა“ | 35 | 11 | 8 | 16 | 49—61 | 30 |
| „დინამო“ სხ. | 35 | 10 | 10 | 15 | 37—53 | 30 |
| „ტურბინა“ | 35 | 11 | 6 | 18 | 38—46 | 28 |
| ფიზკ. ინსტ. | 35 | 9 | 10 | 16 | 36—44 | 28 |
| „პროგრესი“ | 35 | 10 | 8 | 17 | 34—54 | 28 |
| „სპარტ“. თბ. | 35 | 10 | 8 | 17 | 36—60 | 28 |
| „არაზი“ | 35 | 7 | 3 | 25 | 27—85 | 17 |

# რა მოსდით მძლეოსნებს?

დასასრული



სურათზე: ლიტველი ა. კოსტეცკაია 400 მეტრზე რბენის ფინიშთან. ავტორის ფოტო.

წინასწარი განაცხადების მიხედვით ვაჟთა შორის შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღო 224 სპორტსმენს, ფაქტიურად კი 169 მძლეოსანმა იასპარეზა. გადავხედოთ შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს: სპორტის ოსტატობის ნორმატივის ჩვენება ვერავინ შეძლო. სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი მხოლოდ ორი სპორტსმენისთვის აღმოჩნდა ხელმისაწვდომი. ვეტერანმა სპორტსმენმა გ. გუდაშვილმა („კოლმეურნე") ბადრო 56,76 მეტრზე ტყორცნა, ვ. ბერიშვილმა კი („ლოკომოტივი") ათჭიდში 7035 ქულა მოაგროვა. I თანრიგის ნორმატივი 27 სპორტსმენმა შეასრულა, ხოლო II თანრიგისა — 85 მძლეოსანმა. 55 მონაწილე ვერ „შეწვდა" ჩასათვლელ (II თანრიგი) ნორმატივს.

ბევრად უარესი მდგომარეობა იყო ქალთა შეჯიბრებაში, სადაც წინასწარი განაცხადით 90 სპორტსმენს უნდა მიეღო მონაწილეობა. ფაქტიურად 66 სპორტსმენმა იასპარეზა. სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი მხოლოდ ვეტერანმა ხუთჭიდელმა ლ. შუმილინამ („კოლმეურნე") შეასრულა — 3606 ქულა. I თანრიგი 6 სპორტსმენმა შეასრულა. აი ისინიც: ვეტერანები თ. კლდიაშვილი („ბურევესტნიკი", სიგრძეზე ხტომა — 5,70 მ), ს. ნოვოსელცოვა („კოლმეურნე", შუბის ტყორცნა — 47,46 მ). ახალგაზრდა სპორტსმენთაგან ო. ვიქტოროვა („დინამო", 100 მ — 12,2), ე. გოლოვკოვა („სპარტაკი", სიმაღლეზე ხტომა — 165 სმ.), ს. გუნბა („ბურევესტნიკი", შუბის ტყორცნა — 50,92 მ) და ვ. ჩალენკო („განთიადი", ხუთჭიდი — 3266 ქ.). II და III თანრიგი შეასრულა 24-24 სპორტსმენმა, 11 მძლეოსანმა კი საერთოდ ვერ აჩვენა სათანრიგო ნორმატივი.

ასპარეზობაში საპატიო მიზეზების გამო არ უასპარეზიათ სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. სანეევს, სპორტის ოსტატს ჯ. ფხაკაძესა და ნ. ლაბაძეს.

როდესაც წარუმატებლობის მიზეზები ვიკითხეთ, მწვრთნელთა უმრავლესობამ ერთნაირად გვიპასუხა, რომ შეჯიბრების კალენდარი სწორად არ იყო შერჩეული, მაგრამ ვფიქრობთ ეს არგუმენტი თავის გასამართლებლად არ გამოდგება, ვინაიდან ასპარეზობის კალენდარს სტუმრებისთვის — ლიტველი სპორტსმენებისთვის ხელი არ შეუშლია მაღალი შედეგების ჩვენებაში.

ვაჟთა შორის თავი ისახელა კაუნასელმა რ. პლუნგემ, რომელმაც ბირთვი 20,20 მეტრზე ჰკრა და თბილისელ გ. სუხიტაშვილს („ბურევესტნიკი") თითქმის 5 მეტრით აჯობა. ახალგაზრდა ვილნიუსელი სპორტსმენი რ. კაზლაუსკასი 213 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო.

ქალთა შორის ვილნიუსის პედაგოგიური ინსტიტუტის V კურსის სტუდენტმა ვ. ბარდაუსკენემ 100 მ. 11,5 წამში დაფარა, სიგრძეზე 6,75 მეტრზე გადახტა და 4 სმ. დააკლდა მოსკოველი ლ. ალფეევას საკავშირო რეკორდის გასამეორებლად. კარგი შედეგები აჩვენეს ბარდაუსკენეს თანაგუნდელებმაც. გ. მურაშოვამ ბადრო 57,86 მეტრზე ტყორცნა, ი. პუტინენემ შუბის ტყორცნაში 55,84 მეტრი აჩვენა, ა. კოსტეცკაიამ მოიგო 400 და 800 მეტრზე ფინალური გარბენები (შესაბამისად 55,7 და 2.11,8). ყველა ლიტველი სტუმარი საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოში მძლეოსნობას 100 ათასზე მეტი ადამიანი მისდევს. ვფიქრობთ, ამ ფაქტს ნაკლებად შეესაბამება 2 წლის მანძილზე რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში ჩვენი მძლეოსნების მიერ ნაჩვენები დაბალი შედეგები.

სპორტის ამ სახეობაში ჩამორჩენის თაობაზე მრავალჯერ ითქვა და დაიწერა, მაგრამ როგორც ჩანს, ყველაფერი კვლავ რჩება „ძალადისად უდაბნოსა შინა"...

ყველაფერს აქვს თავისი საფუძველი: ცხადია, სპორტის ნებისმიერი სახეობის განვითარებას საფუძვლად სპორტში სასკოლო ასაკის ბავშვებისა და მოზარდთა მასობრივი ჩაბმა და ნაყოფიერი მეცადინეობა უნდა დაედოს. სამწუხაროდ, მძლეოსნობის განვითარებისა და მოზრდილთა ნაკრები გუნდებისთვის პერსპექტიული მძლეოსნების მომზადების საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხვედრითი წონა წლიდან წლამდე კლებულობს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მძლეოსნობის სპორტული სკოლები, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გახსნილი მძლეოსნობის ჯგუფები ყოველწლიურად 5-6 პირველთანრიგოსანს ძლივს ამზადებს, მაშინ, როდესაც რსფსრ-ის, უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადის, ბელორუსიისა და ყაზახეთის განათლების სამინისტროების მძლეოსნობის სკოლებსა და ჯგუფებში მრავლად ვლინდებიან სპორტის ოსტატობის კანდიდატები და სპორტის ოსტატებიც კი...

საყვედურის ღირსნი არიან რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებები, უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურისა და სპორტის კათედრები, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან მძლეოსნობის შემდგომი განვითარებისა და ნიჭიერ სპორტსმენთა აღზრდის საქმეს. სათანადოდ არ ზრუნავენ განათლების სისტემიდან მიღებული ისედაც მცირე შევსების დაოსტატებისთვის. საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სკოლამ, რომელსაც სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. იოსელიანი ხელმძღვანელობს, კარგად დაიწყო მუშაობა და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენიც აღუზარდა, მაგრამ უკვე 3-4 წელია საქმე აქაც გაიყინა და მაღალი კლასის ერთი მძლეოსანიც არ მომზადებულა. ამ სკოლის დირექტორი ერთდროულად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრასაც ხელმძღვანელობს. როგორც ჩანს, ამ მრავალჭირნახული, დიდი დამსახურების მქონე ადამიანისთვის ძნელია ორი მეტად საპასუხისმგებლო საქმის გაძღოლა, რასაც მძლეოსნობის სპეციალისტები, საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლებიც აღნიშნავენ.

ძნელია ერთი საგაზეთო წერილით ჩამორჩენის ყველა მიზეზს შეეხო. ვფიქრობთ, იგი ყველა იმ ადამიანს დააფიქრებს, ვისაც რესპუბლიკაში მძლეოსნობის შემდგომი განვითარებისთვის ზრუნვა ევალება.

ი. იუნაევი.

## შვიდი გუნდის მონაწილეობით

**სოხუმი** დამთავრდა აფხაზეთის მშდ-ის მრავალჭიდელთა პირველობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმისა და გუდაუთის რაიონები, აგრეთვე, სოხუმისა და გაგრის გუნდები.

გუნდურ პირველობაში საუკეთესო იყო გაგრის ნაკრები. II ადგილზეა ოჩამჩირის, III — გულრიფშის რაიონის გუნდები.

პირად პირველობაში საფეხურების პროგრამის მიხედვით გოგონათა შორის გაიმარჯვეს ვ. გაგულიამ (გუდაუთა), ს. კორმანმა (გაგრა), ვ. გოგიამ (ოჩამჩირე), ს. ავეტისიანმა, გ. ზენკინოვმა (ორივე — სოხუმის რაიონი). ვაჟთა შორის საუკეთესონი იყვნენ გ. ბეჟანიშვილი (გაგრა), რ. ბეონია (ოჩამჩირე), ს. შევცოვი (გულრიფში), ნ. ჩასკოვსკი (გაგრა) და ვ. ლვინჯილია (გულრიფში).

მ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

## ზუგდიდელთა წარმატება

**დამთავრდა** „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს დასავლეთის ზონის პირველობა მშდ-ის მრავალჭიდში. შეჯიბრება ჩატარდა მშდ კომპლექსის III, IV და V საფეხურების პროგრამით. პროგრამაში იყო 60 და 100 მეტრზე რბენა, 500, 800, 1000 და 3000 მეტრზე კროსი, ხელყუმბარის ტყორცნა და ცურვა.

გუნდურ პირველობაში საუკეთესო იყო ზუგდიდელთა გუნდი (მწვრთნელი გ. გვახარია) — 377 ქულა.

პირად პირველობაში საფეხურების პროგრამის მიხედვით ქალთა შორის საუკეთესო იყვნენ: შ. აკობია, მ. ნაჭყებია და მ. ჩანგელია (სამივე — ზუგდიდი).

ვაჟებს შორის გაიმარჯვეს: ე. გორგოძემ (მაიაკოვსკი), მ. გოგელაშვილმა (ქუთაისი) და ა. გუგუჩიამ (ზუგდიდი).

ა. ფიფია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

## „საბჭოთა ტურის" ბოლო აკორდი

მოსკოვისა და თბილისის შემდეგ საბჭოთა და ამერიკელი ჩოგბურთელები 26 სექტემბერს ლენინგრადს ეწვივნენ, რათა „ლიტერატურნაია გაზეტას" პრიზის გათამაშების „საბჭოთა ტური" დაესრულებინათ. გადამწყვეტ შეხვედრაში ჩვენმა სპორტსმენებმა იმარჯვეს — 4:1.

რევანში აიღეს ამ დღეს ოლგა მოროზოვამ და მაიკლ ესტეპმა. მოროზოვამ, როგორც ვიცით, მოსკოვშიც და თბილისშიც წააგო ბილი ჯინ კინგთან, ახლა კი, უაღრესად დაძაბულ შეხვედრაში შეძლო უიმბლდონის ტურნირის 19-გზის გამარჯვებული სპორტსმენის დამარცხება — 7:6. ესტეპმაც, მოროზოვას მსგავსად, ორჯერ წააგო ალექსანდრე მეტრეველთან და ახლა რევანშის აღებას ლამობდა. ასეც მოხდა: მან გაიმარჯვა საბჭოთა ქვეყნის აღიარებულ ოსტატთან ანგარიშით 6:4. ა. მეტრეველი კიდევ ერთხელ გამოვიდა ლენინგრადის კორტზე — ვადიმ ბორისოვთან წყვილში ფარხმალი დააყრევინა გროვერ რიდისა და ესტეპის დუეტს — 7:5. მარინა კროშინამ სძლია კრისტინ შოუს (6:3), ხოლო ბორისოვმა — რიდის (6:4).

ამრიგად, „საბჭოთა ტურის" საერთო ანგარიშია 8:7 ამერიკელ სპორტსმენთა სასარგებლოდ. ახლა ამ ორი ქვეყნის ჩოგბურთელები ოკეანესგაღმა იასპარეზებენ.

## ფრენბურთი

**ჰელსინკი. 27 სექტემბერი.** ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში ოლიმპიური ჩემპიონი — პოლონეთის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი დამარცხდა გდრ-ის ნაკრებთან — 2:3. ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა სძლიეს პოლონელებს — 3:1. საბჭოთა გუნდმა მოუგო ბულგარელებს — 3:0.

ქალთა ტურნირში სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა პოლონელებთან შეხვედრაში — 3:0.

## მიტოვებული მშენებლობა

**ბევრჯერ** ითქვა და დაიწერა, რომ ახალ საცხოვრებელ მასივებში არ არის სპორტული ბაზები და რაოდენ სასიხარულო იყო, როდესაც გლდანის მასივის „მეგობრობის კვარტალში" სპორტული კომპლექსის აშენება გადაწყდა. 1975 წელს შემოიღობა დიდი ტერიტორია, დაიდგა ამწე, ჩაიწყო არმატურა და საძირკველიც ჩაიყარა. ერთი სიტყვით, გაჩაღდა მუშაობა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მშენებლები სადღაც გაქრნენ, მოიხსნა ამწე...

ხუთი თვე იქნება, რაც უპატრონოდაა მიტოვებული გლდანის სპორტული კომპლექსის მშენებლობა. შემოღობილი ტერიტორია დაინგრა და გაიძარცვა. დარჩენილი სამშენებლო მასალა დაიტაცეს. გლდანელი ბავშვები მოუთმენლად რომ ელოდნენ სპორტული კომპლექსის აშენებას, გაწბილებული დარჩნენ...

პ. სალუქვაძე.

• • •

სურათზე: გლდანის სპორტული კომპლექსის მიტოვებული მშენებლობა.

ავტორის ფოტო.



## და მაინც ფეხბურთი!

**ნაირობი.** ერთ-ერთმა კენიელმა სპორტულმა მიმომხილველმა ფეხბურთში ქვეყნის ჩემპიონატის (1977 წ.) დასასრული „ცრემლისდენის ფინალად" მონათლა. საქმე კი ასე იყო: ვერცხლის მედლების მფლობელთა გამოსავლენი დასკვნითი მატჩი მასობრივი ჩხუბით დამთავრდა და პოლიცია იძულებული გახდა ცრემლმდენი გაზი ეხმარა.

სხვა მხრივ ჩემპიონატმა კარგად ჩაიარა და დაადასტურა ადგილობრივ სპორტსმენთა ოსტატობის ზრდა. ექვსწლიანი შესვენების შემდეგ ისევ გაიმარჯვა კლუბმა „კენია ბრიუერისმა".

კენიელმა სპორტსმენებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვეს. მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი გამოჩენილი მორბენლების სახელები: კიპჩოგო კეინო, ბენ ჯიპჩო, მაიკ ბოიტი. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყანაში ყველაზე პოპულარული მაინც ფეხბურთია.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სპორტის ეროვნული საბჭოს ფეხბურთის სექციის უფროსმა უილიამ ეიდემ განაცხადა, რომ კენიაში, სადაც 13 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რამდენიმე ასეული ფეხბურთის გუნდია. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში ოფიციალურად 250 კლუბზე მეტია რეგისტრირებული. უმაღლეს ლიგაში მხოლოდ 13 გუნდი იბრძვის, ხოლო დანარჩენი პროვინციულ ლიგებში გამოდის. ტყავის ბურთის ოსტატთა აღზრდას აქ ათი ოლიმპიური ახალგაზრდული ცენტრი ემსახურება.

„ფეხბურთი, — ამბობს უ. ეიდე, — კენიელთათვის „ახალი ხილი" როდია. ჯერ კიდევ 1929 წელს ჩამოყალიბდა ფეხბურთის, ეგრეთ წოდებული, არაბულ-აფრიკული ასოციაცია მომბასში (სადაც იმ დროისთვის საკმაოდ სოლიდური იყო არაბ მცხოვრებთა რაოდენობა). ევროპელებს საკუთარი ასოციაცია ჰქონდათ და იქ აფრიკელ მაყურებელსაც კი არ უშვებდნენ. მას შემდეგ, რაც კენიამ ეროვნული თავისუფლება მოიპოვა, აფრიკელებსაც გაეხსნათ გზა ფეხბურთის მინდვრებისკენ".

„კენიის ფეხბურთის ფედერაცია ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, იგი მხოლოდ სამი წლისაა და ჩამოყალიბდა სპორტის ამ პოპულარული სახეობის მოსაწესრიგებლად. „ვცდილობთ ჩვენი ფეხბურთი მსოფლიო სტანდარტებს მივუახლოვოთ და ბევრ რამეს უკვე მივაღწიეთ კიდეც", — თქვა ეიდემ. — ფიფას დახმარებით წელს ნაირობში, აგვისტოს თვეში ჩატარდა ფეხბურთის განვითარების სხვადასხვა ასპექტისადმი მიძღვნილი სემინარი".

უკანასკნელ წლებში კენიას ინგლისისა და საბჭოთა კავშირის გუნდები ეწვიენ. „მინდა აღვნიშნო, — ამბობს ეიდე, — რომ თქვენმა ფეხბურთელებმა კენიელ მაყურებელზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს. საბჭოთა „დნეპრის" მოთამაშეებმა სერიოზული და ტაქტიკური თამაში აჩვენეს. სტუმრებმა ჩვენს საუკეთესო კლუბებთან გამართული ექვსი მატჩიდან 5 მოიგეს, ერთი კი ფრედ დაამთავრეს. საბჭოთის წარმომადგენლებისგან კენიელებმა თანამედროვე ფეხბურთის კარგი გაკვეთილი მიიღეს. მოუთმენლად მოველით იმ დროს, როცა ჩვენს ფეხბურთელებს საბჭოთა კავშირში ჩასვლისა და ძალის ცდის საშუალება მიეცემათ.

ახლა კენიელი ფეხბურთელები ახალი შეხვედრებისთვის ემზადებიან.

ვ. სკოგელევი,
საკდესის კორ.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14; 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71; 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; შადრაკის — 93-97-57; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.



ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07910